გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N35 (9215) | 20 დეკემბერი. 2016 წელი | ფასი 50 თეთრი

## მოაზროვნე მწვრთნელი, პერსპექტიული ფეხბურთელები – "სამტრედია" ჩემპიონია






## უხვმა ნალექმა ქალაქის ცენტრალური ქუჩები დატბორა

2

## წყალდიდობა სოფელ ბაში



3

## რკინიგზელებსა და მთავრობას შორის შუამავალი ვიქნები

# წყალდიდობა სოფელ ბაშში



ნათია ნაცვლიშვილი

გადაუდებელმა კოკისპირულმა წვიმებმა ჩვენი მუნიციპალიტეტი საგრძნობლად დააზარალა, დაიტბორა ქალაქის რამდენიმე ცენტრალური ქუჩა, განსაკუთრებულად კი სტიქიამ სოფელ ბაშს შეუტია. 11 დეკემბრის საღამოს წყალი მოდიდდა, ღამის გათევა მოსახლეობას მეზობლებთან მოუხდა, ხალხი საცხოვრებელი სახლებიდან წყალს ვედროებით ტუმბავდა და მათთან მისულ ხელისუფლების წარმომადგენლებს დახმარებას სთხოვდა. განადგურდა შინაური ფრინველი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, წყალმა წაიღო სარდაფებში საზამთროდ შენახული პროდუქტი. 12 დეკემბერს შემოვლა სოფელ ბაშიდან დაიწყეს გუბერნატორის მოადგილეებმა პაატა ნადირაძემ და გიორგი ჭილვარიამ. მათ ადგილზევე შეისწავლეს პრობლემა, რომელსაც როგორც ბაშელები ამბობენ, მრავალწლიანი ისტორია აქვს და მისი გადაწყვეტა არც ისე იოლია.



ლალი გერაძე ბაშის საჯარო სკოლის პედაგოგია, ღამე მისმა ოჯახმა მეზობლის სახლში გაათია, მან ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმართა: "შევაბერდი ამ სოფელს, სად წავიდეთ, მადლობა კახა კალაძეს სოფლის გაზიფიცირების გამო, მაგრამ ამ უბედურებას რით უნდა ვუშველოთ?

— 20 წელია ვითხოვთ იმ სადრენაჟე არხის გაწმენდას, რომელიც ვარციხჰესის მეოთხე კაშხალის წარმომადგენლებმა თავის დროზე გაიყვანეს, არხი ვერ ატარებს დიდი რაოდენობის წყალს და ჩვენ ვიტბორებით, უამრავი მთავრობა შეიცვალა, პრობლემა კვლავ გადაუჭრელია, გვითხრა გიგა გერაძემ. აქაურთა თქმით, როცა ჰესი ექსპლუატაციაში შევიდა, რიგი სამუშაოები არ იყო დასრულებული, მათ შორის, საჭირო იყო სადრენაჟე არხის გაფართოება, მისი სიგანე 6 მეტრია და ცხრა მეტრი უნდა ყოფილიყო. სამტრედიის ხელისუფლების წარმომადგენლები კარგად იცნობენ 75 წლის რომან ნუცუბიძეს, რომელიც ბაშელთა ამ პრობლემის დასაძლევად წლებია იბრძვის და ინსტანციიდან ინსტანციაში სირბილით დაიღალა კიდეც. "სამტრედიის მაცნეს" მან განუცხადა:

"ეს უბედურება ჰესის დაუმათავრებლობის შედეგია, შეიძლება ეს სოფელი საერთოდ წაილეკოს, სახლებში დიდი მდინარე მოედინებოდა, ღამე კარცერში მყოფი დამნაშავეებივით გავათენეთ, კიდევ კარგი, დენი არ გათიშულა, ეს არის ბაშელების აბუჩად აგდება. 2006 წელს სასამართლომ 273 ოჯახი დაზარალებულად გვცნო, სააქციო საზოგადოება ვარციხე ჰესს ჩვენთვის თანხა უნდა გადაეხადა, მაგრამ, მაშინდელმა ხელისუფლებამ ეს ორგანიზაცია ხელოვნურად გააკოტრა, ეკონომიკის სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც მთელი მისი ქონება შპს ვარციხე 2005-ს გადასცეს, შემდეგ მოსახლეობამ ეკონომიკის სამინისტროს უჩივლა, აი ასე გრძელდება ეს დავა უშედეგოდ..." მოსახლეობასთან ერთად იმყოფებოდნენ ბაშის მაჟორიტარი დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში კოტე ნაცვლიშვილი და გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ბაშში რამაზ კაშია. კოტე ნაცვლიშვილი:" მეოთხე ჰესის მშენებლობა რომ დასრულდა, ბოლომდე არ არის დასრულებული სამუშაოები, სადრენაჟე არხი წისქვილის ტერიტორიიდან დაწყებული, მეოთხე ჰესამდე არის გასაფართოებელი, გასულ წლებში ჩვენთან ჩამოვიდა ჰესის ხელმძღვანელობა, გვითხრეს, რომ არსებობს არხის გაფართოების პროექტი, 460 000 ლარია ჩადებულიო საამისოდო, საკრებულოშიც გვყავდა ეს ხალხი მოწვეული, პირობაც დაგვიდეს, მაგრამ საშველი არ დაგვადგა. ქუთაისის სოფლებიდან წამოსული წყალი ყველა აქ იყრის თავს. არხი გასაფართოვებელია, ადგილობრივი ხელისუფლება გვერდით გვიდგას, მაგრამ პრობლემას ვერ ვწყვეტთ."



რამაზ კაშია: " ეს ჰესი საახალწლოდ საზეიმოდ რომ გახსნეს, ერთ თვეში მოხდა სოფლის დატბორვა, საყულიიდან და ოფშკვითიდან წამოსული ნაწრეტი წყალი ჩვენთან მოდის, 40-50 ოჯახი ამ მძიმე მდგომარეობაშია, ჰესის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე ჩამოსულნი იყვნენ, მაგრამ გვითხრეს, დაგვაჯარიმეს რამდენიმე მილიონით და ვერ ვაკეთებთ იმას, რასაც დაგპირდითო."

ვალერი ფოცხვერია: " ჰესს თავის დროზე გარკვეული ვალდებულება ჰქონდა აღებული, დაგვპირდნენ, რომ არხს გააფართოვებდნენ, არხი აუცილებლად უნდა გაფართოვდეს."

ბაშელი ნანული დვალიშვილი ჩვენთან სახანძრო სამაშველო რაზმისათვის მადლობის სათქმელად მოვიდა, მაშველებმა მისი ავადმყოფი მეუღლე სახლის ზედა სართულზე აიყვანეს და დახრჩობას გადაარჩინეს. იმერეთის გუბერნატორის მოადგილეები ესტუმრნენ მამუკა გერაძისა და 88 წლის ქალბატონის, ვაგნერ გვენცაძის ოჯახებს. ამ უკანასკნელის კარ-მიდამო წყალში ტივტივებდა. პირველი, ვინც მარტო მყოფი დარიკო ბაშელეიშვილის დატბორილ ეზოში შესვლა და მისი მოკითხვა შეძლო, რამაზ კაშია იყო. ასევე მოინახულეს შორენა ხაზარაძის დატბორილი სახლ-კარი. აქაურებმა ხელისუფლების წარმომადგენლებს პრობლემათა მთელი სპექტრი წარმოუჩინეს. პაატა ნადირაძე:" ძალიან სამწუხაროა ეს ყოველივე, საკითხი არც ისე მარტივია და უფრო გლობალურ შესწავლას ითხოვს, აუცილებლად მოვამზადებთ წერილს და დახმარებისათვის ცენტრალურ ხელისუფლებას მივმართავთ"

მეორე დღესვე ბაშელთა მრავალწლოვანი სატკივარი და პრობლემა პარლამენტის ტრიბუნიდან გაახმოვანა სამტრედიის მაჟორიტარმა დეპუტატმა, გია მიქელაძემ.



**მუნიციპალიტეტის გამგებელი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ასევე შეხვდნენ ქალაქში გრიბოედოვის, ფანჯიკიძის და მანჯგალაძის ქუჩების მოსახლეობას, განსაკუთრებით მძიმე ვითარება ყოფილი ჩაის ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო. მოსახლეობა დამცავი ჯებირების გაკეთებას ითხოვს. ხელისუფლება მოსახლეობას ყველა შესაძლებლობის გამოყენებას და დახმარებას დაჰპირდა.**

# უხვმა ნალექმა ქალაქის ცენტრალური ქუჩები დატბორა













# რკინიგზელებსა და მთავრობას შორის შუამავალი ვიქნები





**ნინო ნანიტაშვილი**

რომ არავინ ელოდა, გრიგოლ მიქელაძე 16 დეკემბერს სამტრედიაში სავაგონო დეპოში ისე მივიდა და მასპინძლებს ეზოს ინფრასტრუქტურა დაუწუნა. საქართველოს პარლამენტის სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი ვერც სავაგონო დეპოს ადმინისტრაციული შენობის ინტერიერმა დატოვა მოხიბლული:

"ძალიან ცუდი სურათი დამხვდა. წარმოების ეზოში ორმოებია გაჩენილი და კაცს აზრად არ მოსდის, ხრეში ჩაყაროს და ამოავსოს. დერეფანში ადამიანი ფეხს მოიტეხავს. ნუთუ არავის აღიზიანებს, ადმინისტრაციული შენობის კორიდორი ასე განადგურებული რომ არის. ამ ორმოს ერთი ვედრო ცემენტი და სილა ეყოფა. გეკითხებით, წარმოებაში მუშა არ გყავთ, თუ ვედრო არ გაქვთ?"



სარკინიგზო ობიექტი ასეთ სავალალო მდგომარეობაში რომ არის ჩაგდებული, ამაში გრიგოლ მიქელაძე მხოლოდ სამმართველოებისა და დეპოების უფროსების ბრალეულობას ვერ ხედავს. ყოფილი რკინიგზელი დარწმუნებულია, რომ საქართველოს რკინიგზა ყოფილმა ხელისუფლებამ დააქცია:

"მე ვიცი, რკინიგზა ვინც დააქცია. ისიც ვიცი, რატომ დაიქცა. მე ვიცი, "ნაციონალებმა" თუ როგორი კანონები შექმნეს, სად მიიყვანეს ეს ყველაფერი".

გრიგოლ მიქელაძე დაინტერესდა, ის ოთახებიც ენახა სადაც სავაგონო დეპოს თანამშრომლები სამუშაო ფორმაში ეწყობიან და დღის ბოლოს შხაპს იღებენ.

სამტრედიელების დეპუტატმა სავაგონო დეპოს 510 თანამშრომლიან კოლექტივთან გასაუბრება ვაგონების ამწყობ საამქროში მოისურვა. ისარგებლა მათი შესვენებით, აუხსნა დეპუტატის ვიზიტის მიზანი და სთხოვა, პრობლემებზე საუბრისას მასთან გულახდილები ყოფილიყვნენ. სავაგონო დეპოში ძირითადად დაბალ ანაზღაურებას უჩივიან და კიდევ იმას, რომ მუშებზე და საქმის გამკეთებლებზე მეტი მაკონტროლებლები არიან.

პლატონ ანდრიაძე, ზეინკალი: "რაც ახალი მთავრობა მოვიდა, ყველამ დაამატა ჩვენი შემმოწმებლები. შემმოწმებლებს, რა თქმა უნდა, მაღალი ხელფასი აქვთ, ჩვენ არაფერი არ მოგვმატებია. ხელმძღვანელები ბევრია დეპარტამენტში. ამ საკითხებს თუ გადავხედავთ, კარგი იქნება და შრომის ანაზღაურებას. ცოდვები ვართ ასეთი დაბალი ხელფასებით".

შეხვედრის ბოლოს როცა დეპუტატი სავაგონო დეპოს თანამშრომლებს დაემშვიდობა, და პირობა მისცა, მათ სათქმელს დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან მიიტანდა, გრიგოლ მიქელაძეს უკვე ჰქონდა პასუხი მთავარ კითხვაზე: ვინ და რატომ დააქცია საქართველოს რკინიგზა.

"ყველა სარკინიგზო ორგანიზაციაში მივალ, ადგილებზე მოვისმენ პრობლემებს და რკინიგზელთა სათქმელს დეპარტამენტში მივიტან. დავპირდი და ასეც მოვიქცევი: ვიქნები შუამავალი რკინიგზელებსა და მთავრობას შორის".

# "მოსახლეობა საკუთარი ეზოების დასუფთავებასაც გთხოვს"

**ნინო ნანიტაშვილი**



ორშაბათის ტრადიციული თათბირი მუნიციპალიტეტის გამგებელმა წყალდიდობის თემით დაიწყო. ორი დღის განმავლობაში მოსულმა ხშირმა ნალექმა სამტრედიას მორიგი პრობლემები შეუქმნა. ვალერიანე ფოცხვერიამ ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლებისაგან ამ კუთხით ინფორმაციები მიიღო. თათბირზე ითქვა, რომ ორდღიანმა გადაუღებელმა წვიმამ სერიოზულად დააზარალა ქალაქი, სოფლები იანეთი და ბაში.

სტიქიას წინ რომ ვერაფერი აღუდგება, მუნიციპალიტეტის გამგებელი ამაზე არ დავობს, თუმცა ვალერიანე ფოცხვერიას შენიშვნები იმ დღეს მოსახლეობის მიმართ მაინც ჰქონდა: "ვიცი, რომ 11 დეკემბერს საქმე უხვ ნალექთან და სტიქიურ მოვლენებთან გვქონდა. მაგრამ არ შემიძლია, ცოტაოდენი საყვედური არ გამოვთქვა იმ ადამიანების მიმართ, ვინც საკუთარ ეზოს წინ გამავალ არხს წლიდან წლამდე არ წმენდს. ბევრი ადგილი ვიცი, სადაც უნებლიედ მოსახლეობა კეტავს არხებს, ყრის ნაგავს, უფრო მეტსაც გეტყვით, ჩადით კანცელარიაში, იქ ასობით განცხადებაა შემოსული, რომელშიც მოსახლეობა საკუთარი ეზოს დასუფთავებასაც გვთხოვს, ფოთლები ჩამოცვივდა და გთხოვთ, გაგვატანინოთო. ძალიან გთხოვთ, ტერიტორიულ ერთეულებში ჩემმა წარმომადგენლებმა მეტი ყურადღება მიაქციოთ მსგავს სიტუაციებს და მოუწოდეთ მოსახლეობას, თავიანთი ეზოების მიმდებარედ არხების გაწმენდაში მონაწილეობა მიიღონ.

ვალერიანე ფოცხვერიას ამ განცხადებას კომუნალური გაერთიანების უფროსის, კობა ბიბილეიშვილის წინადადება მოჰყვა: "გავაგრძელოთ წარსულის კარგი პრაქტიკა. მოსახლეობა წინა წლებში თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთის წინ არხებს რომ წმენდდა და ჩვენ გატანაში ვეხმარებოდით. მზად ვართ, კვლავ გამოვიჩინოთ მათ მიმართ ფიზიკური მხარდაჭერა, რაც ჩვენი ქალაქის დატბორვას თავიდან აგვაცილებს".



ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე საფეხბურთო კლუბ "სამტრედიას" ჩემპიონობა მიულოცა დამსწრე საზოგადოებას გამგებლის მოადგილემ, მამუკა თავაძემ.

"ბომბზე ვზივართ, თუ მეტი სიფრთხილე და ეკონომიურობა არ გამოვიჩინეთ, ელექტროენერგიის გაზრდილი ხარჯი რომ აღარ ვიჯავროთ, შეიძლება, შენობის სხვენში ხანძარი გაჩნდეს და ადმინისტრაციული კორპუსი დაიწვას. ზამთარია, გაიზარდა მოთხოვნა დენის მოხმარებაზე, მაგრამ გვაქვს საშუალება, ელექტროენერგია უფრო ყაირათიანად მოვიხმაროთ. ნამდვილად არ მიმაჩნია გამართლებულად ერთ პატარა ოთახში ორი-სამი დენის გამათბობელი ენთოს. ჩვენ ვაპირებთ რეიდების ჩატარებას და ვაფრთხილებთ ყველას, უხერხულ სიტუაციაში არ აღმოჩნდნენ". _ თათბირის მიწურულს ეს განცხადება ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, ბეჟან გეგეშიძემ გააკეთა.

21 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის გამგებელი ვრცელ პრეზენტაციას აწყობს. თუ რაიმე არ შეიცვალა, ვალერიანე ფოცხვერია ამ დღეს ერთწლიანი ანგარიშით წარსდგება სამტრედიელების წინაშე, საუბარი იქნება 2016 წლის ბიუჯეტის შესრულებაზე და იმ პროექტებზე, რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს განხორციელდა.

# ჩვენი აზრი სააკაშვილისას დაემთხვა

**თეა ბაბუნაშვილი**

იქნებ ჩავლილი თემაა, მაგრამ არა ინტერესმოკლებული, რომ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ერთიანობა ცოტა ხნის წინ ეჭვქვეშ დადგა. ნაარჩევნებს პარტიის ახალი თავმჯდომარისა და პოლიტსაბჭოს წევრების არჩევას საქვეყნო ხმაური მოჰყვა. ერთი შეხედვით ყველაფერი ჩაწყნარდა, მაგრამ როგორც ჩანს, "ტაშტი გატყდა, ხმა გავარდა", მარტო ანდაზა არაა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" შიდაპარტიულ ერთიანობაში.

21 იანვარს პარტიის მორიგი ყრილობა გაიმართება, სადაც სამტრედიელი "ნაციონალები", რა თქმა უნდა, წარმოდგენილნი იქნებიან. ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მათი პოზიციის გარკვევა აღნიშნულ საკითხზე ბევრისთვის ჯერ ისევ საინტერესო თემაა სამტრედიის სინამდვილეში.



პარტიის თავმჯდომარე ემზარ შუბლაძე ამბობს, რომ "აზრთა სხვადასხვაობას, რომელმაც შექმნა განწყობა, რომ "ნაციონალურ" მოძრაობაში სერიოზული განხეთქილებაა, მყარი საფუძველი არ გააჩნია. იგი საბოლოო ჯამში შეთანხმებით დასრულდა. თავიდანვე შესათანხმებელიც მხოლოდ ტექნიკური საკითხები გახლდათ. ეს დემოკრატიული პროცესია. საერთოდ, ყველა შიგაპარტიული პროცესი დემოკრატიულად მიდის ჩვენს პარტიაში. პოლიტსაბჭო არჩევნების შემდეგ თავიდან უნდა ავირჩიოთ და ეს რომ გარდაუვალი იყო, ვიცოდით. პარლამენტში შესვლის შემდეგ პარტიის წევრს პარტიაში შესაბამისი სტატუსი უნდა ჰქონდეს. ჩვენს შემთხვევაში აზრთა სხვადასხვაობა მხოლოდ პარტიის ყრილობის მოწვევის რაოდენობაზე იყო. 2200 კაციანი ყრილობით უნდა არჩეულიყო იგი, თუ წევრთა მეტი რაოდენობით. სააკაშვილის და ჩვენი, სამტრედიელი "ნაციონალების" აზრი ერთმანეთს დაემთხვა. საბოლოო გადაწყვეტილებაც ასეთია, პარტიის გაფართოებული შემადგენლობით გამართულ ყრილობაზე, 5 ათასი დელეგატით რომ იქნება წარმოდგენილი, აირჩევა ახალი პოლიტსაბჭო."

ფორმულით, რომელიც გამოყვანილია არჩევნებზე მოსული ამომრჩევლის რაოდენობის და მიღებული ხმების მიხედვით, სამტრედიიდან, მცირე ფორმატით, 2200 დელეგატით ჩატარების შემთხვევაში, 30 დელეგატი გაემგზავრებოდა. რადგან იგი გაფართოებული ფორმატით ტარდება, სამტრედია 106 დელეგატით იქნება წარმოდგენილი.

ლევან ბაბეჩავა

# მწყემსი კეთილი!



25 დეკემბერს 39 წელი სრულდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის აღსაყდრებიდან.

ერთობ რთულ ვითარებას დაემთხვა მისი უწმინდესობის პატრიარქობის წლები, განსაკუთრებით პირველი ხანები. არ იყო იოლი კომუნისტური მმართველობის ხანაში ხალხში ქრისტეს მოძღვრების პოპულარიზაციისათვის გადაგედგა ნაბიჯი.

უფლის წყალობითა და შეწევნით ყველაფერი ჩინებულად აეწყო.

თუ დღევანდელ საქართველოში იმატა ეპარქიათა რაოდენობამ, გაიზარდა სამღვდელოების რიცხვი, მეტი და მეტი ადამიანი ხდება ეკლესიური, თუ ეკლესია აქტიურადაა ჩართული ჩვენი ქვეყნის, ერის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მოვლენაში, თუ ეკლესია განუხრელად ზრუნავს ქართული ოჯახების სიძლიერეზე, ერის გენოფონდზე, ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდების სწავლა-განათლებაზე და ა. შ. ყველაფერი მისი უწმინდესობის მარად მღვიძარე გონების კეთილი ნაყოფია.

თანამედროვეობის ყველაზე ბრძენ, დიდ ქართველად ერი თუ ბერი ყოველმხრივ დამსახურებულად, მის უწმინდესობას რომ ასახელებს ჩვეულებრივი მოვლენაა.

განუზომელი ავტორიტეტით რომ სარგებლობს საქართველოს პატრიარქი არა მარტო საქართველოში, არამედ ქრისტიანულ სამყაროში, საკვირველი სულაც არაა.

სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები რომ უდიდესი პატივით არიან განწყობილნი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღოლისადმი, სიახლეს არავისთვის წარმოადგენს.

სასიამოვნოა, რომ ბოლო წლებში მისი უწმინდესობა რამდენჯერმე ეწვია სამტრედიას, რაც საერთო სახალხო დღესასწაულად, ზეიმად გადაიქცა ყოველი სამტრედიელისათვის.

სწორედ მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით მიმდინარეობს ამჟერად სამტრედიაში სამღვდელმთავრო რეზიდენციის მშენებლობა, რომელიც იმთავითვე ახალგაზრდობის შემეცნებით, კულტურულ, აღმზრდელობით ფუნქციასაც იკისრებს.

...

25 დეკემბერს 39 წელი სრულდება ილია მეორის აღსაყდრებიდან.

მრავალჟამიერ მისი უწმინდესობის მწყემსმთავრობა!

# თანხმობას მოყოლილი უარი

თეა ბაბუნაშვილი

**საბავშვო ბაღებში მეთოდისტები შესაბამისი მეთოდებით მეცადინეობას უფრო ინტენსიურად და უკეთ რომ ჩაუტარებდნენ პატარებს, სულ რამდენიმე ნომრის წინ ვწერდით. საუბარი ამ სისტემაში აპრილიდან განსახორციელებელ რეფორმებზეც იყო, რომლებმაც სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობა უნდა გადაახალისოს და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად შეცვალოს. თუმცა, იმის გარდა, რომ აპრილში ახალი სამუშაო გეგმა ჩამოვა, სხვა დანარჩენი შეიცვალა.**

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, მეთოდისტები კვლავ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებიდან გაუწევენ კურირებას საბავშვო ბაღებს.**

მკითხველს შევახსენებთ, რომ სოფლის საბავშვო ბაღებში, სადაც კონტინგენტის შესაბამისად ჯგუფების რაოდენობა შედარებით ნაკლებია, მეთოდისტების მაგივრობას სპეციალურ ტრენინგგავლილი მმართველები შეითავსებდნენ. ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ 9 საბავშვო ბაღს კი, გაერთიანებაში ამჟამად დასაქმებული 7 მეთოდისტი გაინაწილებდა.

"დიდი ქალაქების ყველა საბავშვო ბაღში ეს დღემდე ასეა. საუბარი არ გვაქვს იმ რაიონებსა და ქალაქებზე, სადაც მხოლოდ ორი-სამი ერთჯგუფიანი საბავშვო ბაღია. მხოლოდ სამტრედია გახლდათ გამონაკლისი ამ კუთხით. იმის გათვალისწინებით, რომ აღმზრდელობითი პროცესის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია, ეს არც ხელფასების და შტატების მატებას იწვევდა, იგივე შტატებითა და ანაზღაურებით მეთოდისტები ცალკეულ საბავშვო დაწესებულებებში გადაინაცვლებდნენ." _ აკონკრეტებენ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში.

საკრებულოს მხრიდან თანხმობას მოყოლილი უარის მიზეზი გახლავთ მისი წევრების მოსაზრება, რომ ამ მოდელით სოფლის საბავშვო ბაღები იჩაგრებიან. ამიტომ მიიღეს ის გადაწყვეტილება, რაც მიიღეს _ ახალი წლიდანაც კვლავ არაფერი იცვლება ამ სისტემაში. აქვე ისიც, რომ ძალაში დატოვებული ძველი მოდელი, არანაირად არ უკავშირდება შტატების ან ხელფასების შემცირებას. "მეთოდისტები სოფლის ბაღებში, ისედაც მცირე ხელფასების ფონზე, საკუთარი ხარჯით დადიან, ამისთვის მათ დამატებითი თანხა არ ეძლევათ. გარდა ამისა, როცა უშუალოდ საბავშვო დაწესებულებაში ხარ ჩაბმული აღმზრდელობით პროცესში, უფრო ხარისხიანად კეთდება საქმე. ეს გადაწყვეტილება არც სახელფასო და არც საშტატო მატებას არ გულისხმობდა, მაგრამ საკრებულომ ასე გადაწყვიტა, ჩვენ კი ვალდებულები ვართ, მას დავემორჩილოთ." _ ამბობს სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში, ხათუნა გაგუა.




შეგახსენებთ, რომ სამტრედიის გარდა, ქვეყნის მასშტაბით, ყველა საბავშვო ბაღს საკუთარი მეთოდისტი ჰყავს.

# მერე რა რომ ზამთარია

ქვეყნის მთავარ საფინანსო დოკუმენტში სოფლის მეურნეობა იმ ჩამონათვალშია, მომავალი წლიდან დაფინანსება რომ უნდა გაეზარდოს.

სხვაგვარად შეუძლებელია, რამეთუ საქართველო უძველესი აგრარული ქვეყანაა.

15 დეკემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტებსა და დაინტერესებულ ადგილობრივ ფერმერებს მასპინძლობდა.

_ ქალბატონი ნანა მაისურაძე, ბატონები: შაქრო ყანჩაველი და ლაშა ციგრიაშვილი ფერმერებს, დაინტერესებულთ მეფუტკრეობის, თხილისა და ზოგადად, მემცენარეობასთან დაკავშირებულ საინტერესო საკითხებში გაარკვევენ და შესაბამის კონსულტაციებსაც მისცემენ. _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ბატონმა ლაშა ხაჭაპურიძემ.

მსგავსი შეხვედრები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფერმერთა მოტივაციასა და ცნობიერების ამაღლებას. _ ამბობს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი მამუკა კვანტალიანი.

ლევან ბაბეჩავა

# რა ხდება? SOS!

ლევან ბაბეჩავა



საყოველთაო პრობლემებზე დავიწუწუნე ერთხელ და ერთმა საკმაოდ განათლებულმა, ჩემთვის პატივსაცემმა პიროვნებამ გაოცებით მითხრა: ლევან, ეტყობა თქვენ მხოლოდ "რუსთავი 2" უყურებთო". იყო "ამ მოკრძალებაში" მისთვის ჩვეული ირონია, მაგრამ რაც იყო, იყო. ოპონენტს დიდი ხნის შემდეგ მინდა ვუთხრა, რომ შაბათს, 10 დეკემბერს _ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს, თერთმეტსაათიან საინფორმაციო გამოშვებაში "იმედზე" და არა "რუსთავი 2-ზე" მოვისმინე უკვე მერამდენე ამაზრზენი ინფორმაცია.

**კახეთში ქმარმა ცოლი ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა?!**

მერამდენე მკვლელობა?

მერამდენე ამაზრზენი ინფორმაცია?

შვილმა დედა მოჰკლა, სხეული დაანაწევრა და თანამზრახველი მსხვერპლის გულ-ღვიძლს შეექცა?

(ჩემს ბავშვობაში და უფრო ადრე ზღაპარი იყო ასეთი, ზღაპარში თუ გაგვეგონა მსგავსი საშინელება, ახლა კი...).

აჭარაში დედამ მოჰკლა ავადმყოფი შვილი?

პრესტიჟული "საერთაშორისო ორგანიზაციები კი საქართველოში ყველაზე უსაფრთხო გარემოს არსებობას აანონსებენ და ჩვენს ქვეყანას ამ კრიტერიუმით პრესტიჟულ ათეულში უმკვიდრებენ ადგილს?

არა კაც ჰკლა! _ გვმოძღვრავს უფალი!

არავისა აქვს უფლება, სიცოცხლე მოუსპოს ადამიანს. _ ვკითხულობთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციაში.

ისე, უბრალოდ რომ ვთქვათ, რა ღმერთი გვიწყრება ქართველებს, რად გვინდა საერთაშორისო ორგანიზაციების გაფრთხილება, ჭკუის დარიგება დედამ _ შვილი, შვილმა _ დედა, ქმარმა _ ცოლი, ძმამ _ და რომ არ უნდა მოჰკლას?

რა ხდება?

არა, ბატონებო, ნამდვილად არ ვუყურებ მარტო "რუსთავი 2-ს!"

# მხოლოდ "რე" ძველი სახელწოდებიდან

## საკრებულო "რესპუბლიკელების" გარეშე

თეა ბაბუნაშვილი

მას შემდეგ, რაც სამტრედიის ჩემპიონობას ფეხზე წამოუდგნენ და ჩემპიონობის შემოქმედ საფეხბურთო კლუბს ტაში დაუკრეს, საკრებულოს წევრები სხდომისთვის მოემზადნენ, რომელზეც ძირითადი თემა სხვადასხვა სამსახურების ბიუჯეტში კალენდარული წლის ბოლოსთვის შესაბამისი მუხლობრივი ცვლილებები იყო.

გარდა იმისა, რომ სხდომის დასაწყისში განცხადება გააკეთა, ფრაქცია "ქართული ოცნება – რესპუბლიკელებზე" სახელის გადარქმევის საკითხი ჯერ კიდევ ბიუროს სხდომაზე დააყენა ფრაქციის თავმჯდომარემ, იმედა გოგავამ. განცხადება საკრებულოს სხდომათა დარბაზში დეპუტატების ფრაქციების მიხედვით განლაგებას შეეხებოდა.

რაც შეეხება სახელის გადარქმევას, საკითხი განსახილველად იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ გამოიტანა. ამიერიდან ფრაქცია "ქართული ოცნება – რესპუბლიკელები" "სამტრედიელი რეფორმატორების" სახელით იმუშავებს საკრებულოს შემადგენლობაში. თავად ფრაქციის თავმჯდომარე იმედა გოგავა ცვლილებას ასე ხსნის: "რეფორმები, როგორც წესი, კვლავაც აქილევსის ქუსლია სამტრედიისათვის. რეფორმებმა რკინიგზელთა ქალაქს გვერდი აუარა, რადგან ქალაქის ვიწრო, მოძველებულ და მოყანყალებულ ლიანდაგზე, უბრალოდ, ვერაფრით შემოეტია. რეფორმებს მოწყურებული სამტრედიელები კი კვლავ იობის მოთმინებით ელიან, ჭეშმარიტ, განათლებულ, საქმიან, რისკიან და კრეატიულ რეფორმატორებს. რეფორმების მნიშვნელობასა და მის აუცილებლობაზე საუბრით თავს ამჯერად ნამდვილად არ მოგაწყენთ. რეფორმებით და კრეატიული იდეებით შეიარაღებულ ადამიანებს ძალუძთ მნიშვნელოვანი ცვლილებების მოხდენა, მუნიციპალიტეტის განვითარება და გამრავალფეროვნება. სამტრედიისთვის ახალი, მნიშვნელოვანი ფუნქციის მოპოვება. რეფორმად წოდებული მცირე, ფსევდოცვლილებების დრო წარსულს უნდა ჩაბარდეს. სხვაგვარად ვერასდროს ამოვძვრებით იმ ჭაობიდან, სადაც დღეს ვართ ჩავარდნილი."

დეპუტატებმა ღიმილით აღნიშნეს, გარდა იმისა, რომ "ქართული ოცნება" მოსცილდა, აღარც "რესპუბლიკელები" დარჩა, ძველი სახელწოდებიდან მხოლოდ პირველი მარცვალი "რე" ფიგურირებს დასახელებაში.

თავად ფრაქციის თავმჯდომარე ადასტურებს – უკვე ყოფილი "რესპუბლიკელია": "11 წელი გახლდით "რესპუბლიკური პარტიის" წევრი. ეს წლები ძალიან საინტერესო წლებად დარჩება ჩემს ცხოვრებაში. ამ პარტიამ დიდი გამოცდილება და ბევრი საინტერესო ადამიანი შესძინა ჩემს ცხოვრებას. პარტიაში მომხდარ ცვლილებებზე, საზოგადოებისთვის ცნობილია. ამ დროისთვის არც ერთი პარტიის წევრი არ ვარ, ჯერჯერობით დარწმუნებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ არც ერთ ეტაპზე პოლიტიკიდან წასვლას არ ვაპირებ!"



ეს პარტიის უკვე ყოფილი თავმჯდომარის პოზიციაა, რაც შეეხებათ სამტრედიელ "რესპუბლიკელებს", მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ შეკრებილან და ოფიციალური განცხადებები არ გაუკეთებიათ. რაც შეეხებათ საკრებულოს წევრ "რესპუბლიკელებს", აღარც ისინი არიან "რესპუბლიკელები". თუმცა, სარწმუნო წყაროდან, ანუ იმედა გოგავასგან უკვე ვიცით, საკრებულოში წარმოდგენილი სამი წევრიდან, "რესპუბლიკელობაზე" უკვე სამივემ თქვა უარი. ასე, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო საქართველოს პარლამენტის დარად "რესპუბლიკელების" გარეშე დარჩა. ამიტომ, ფრაქციის სახელწოდებას არა მხოლოდ "ქართული ოცნება", "რესპუბლიკელებიც" მოცილდა. ასე იქცა იგი "რეფორმატორებად". ამიერიდან სამტრედიაში რეფორმების საკუთარ ვერსიებს ახლა რეფორმატორებად ქცეული ყოფილი "რესპუბლიკელებიც" წარმოადგენენ.

# ამ სიბერეში ევროპაში მივდივარ

ნინო ნანიტაშვილი

**ძველი სამტრედიის ქუჩის 50 ნომერში მცხოვრებ 62 წლის ნოდარ მიქელთაძეს ახლო მომავალში ევროპაში გამგზავრება აქვს გადაწყვეტილი. ამბობს, რომ დიდი ხნის უნახავ დისშვილთან და დეიდაშვილთან გერმანიაში შეხვედრა აქციამ დაუჩქარა, რომელიც 15 დეკემბერს დაიწყო.**

ნოდარ მიქელთაძე: "საერთოდ მქონდა ჩანაფიქრი, საზღვარგარეთის პასპორტი ამეღო. მაგრამ, რომ გავიგე, აქცია დაიწყო, პირველივე დღეს მოვაშურე სამტრედიის სერვისცენტრს და განცხადება დავწერე. მინდა, ბიომეტრიული პასპორტი ავიღო, ამ სიბერეში გავემგზავრო ევროპაში. კერძოდ, გერმანიაში მოვინახულო დიდი ხნის მონატრებული დისშვილი და დეიდაშვილი. მადლობის მეტი რა მეთქმის, 50 ლარი დღეს დიდი შეღავათია. ამ აქციამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დამაჩქარებინა".

საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის გაცემასთან დაკავშირებით აქცია 2016 წლის 15 დეკემბრიდან დაიწყო და 10 იანვრამდე გაგრძელდება. ეს უკანასკნელი ეხება მხოლოდ 15 დეკემბრიდან 10 იანვრამდე წარდგენილ განცხადებებს.

15 დეკემბრიდან 9 იანვრის ჩათვლით პირადობის მოწმობები უფასოდ გაიცემა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი კი 100 ლარის ნაცვლად 50 ეღირება. ახალი პირადობის მოწმობის უფასოდ მიღება შეუძლიათ პირებს 18 წლის ასაკიდან და მათ, ვისაც 2017 წლის 2 ნოემბრამდე უსრულდება 18 წელი. აქცია ეხება ბიომეტრიულ პასპორტსაც და მისი შეცვალა ან პირველადი აღება 50 პროცენტიანი ფასდაკლებით იქნება შესაძლებელი.

2014 წლიდან საქართველოში ფოტოსურათიანი საარჩევნო სია მოქმედებს და ის ბიომეტრიულ დოკუმენტებს ეფუძნება. შესაბამისად, ბიომეტრიული დოკუმენტის ქონა უზრუნველყოფს პრინციპს – "ერთი ამომრჩეველი – ერთი ხმა" – და გამორიცხავს არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე ე. წ. კარუსელს.

"ჩვენს ბაზებში მოქალაქეთა მონაცემების სიზუსტე კვლავაც აქტუალურია, რადგან 11 თვეში საქართველოში კვლავ არჩევნებია და საარჩევნო სია მუდმივად უნდა იხვეწებოდეს. ჩვენ გვსურს, კიდევ უფრო ზუსტი და სანდო საარჩევნო სია მომავალი თვითმმართველობის არჩევნებისთვის". – განაცხადა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა. სწორედ ამ მიზნით იუსტიციის სამინისტრომ ბოლო 4 წლის განმავლობაში 23 აქცია გამოაცხადა. შედეგად, 1 155 245-ზე მეტმა მოქალაქემ პირადობის მოწმობა უფასოდ ან შეღავათიანი ფასით მიიღო. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოს, დამოუკიდებლობის შემდეგ, ყველაზე ზუსტი საარჩევნო სია ჰქონდა.

ამასთან, ვიზალიბერალიზაციისა და ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესების დადებითად დასრულებისათვის იუსტიციის სამინისტრო ბოლო წლებია, ინტენსიურად მუშაობს.

"ვინაიდან საქართველო უკვე ელოდება ევროკავშირისაგან უვიზო მიმოსვლაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, აუცილებელია, საქართველოს ყველა მოქალაქემ კიდევ ერთხელ წინასწარ გაიაზროს ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობა და ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი, ტურიზმისა და განვითარების მიზნების გარდა, საკუთარი თავისა და ქვეყნის ღირსეულად წარმოჩენისათვის გამოიყენოს. ლეგალური ჩასვლა ევროკავშირის ქვეყნებში და დათქმულ დროში უკან დაბრუნება უნდა გახდეს ჩვენი წესი. რისთვისაც ბიომეტრიული პასპორტი აუცილებელია". – დასძენს იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი. 4 წლის განმავლობაში პასპორტის საშეღავათო პირობებით გაცემის მიზნით აქცია უკვე მეორედ ცხადდება.

აქციით სარგებლობისთვის მოქალაქეებმა უნდა მიმართონ იუსტიციის სახლებს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს ან საზოგადოებრივ ცენტრებს.

2016 წლის 15 დეკემბერს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამტრედიის ტერიტორიულ სამსახურს დილიდანვე უამრავმა მოქალაქემ მიმართა. მათ შორის იყო მერაბ თევზაძე, რომელმაც "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარი ჩაწერა: "პირადობის ელექტრონული მოწმობის ასაღებად მოვედი. 37 ლარის შეღავათი პირადად ჩემთვის რაღაცას ნამდვილად ნიშნავს. მოსახლეობას უჭირს, სოციალური ფონი დაბალია. ასეთ აქციებს სხვა სამინისტროებიც უნდა აკეთებდნენ. ეს არის ხალხზე ზრუნვა".

აქციის ფარგლებში, დოკუმენტის გაცემისას, მოქალაქეები გათავისუფლდებიან ფოტოსურათის საფასურისგან.





დღეის მდგომარეობით, საქართველოს 2 368 346-ზე მეტი მოქალაქე პირადობის ელექტრონულ მოწმობას ფლობს, ხოლო დამატებით 341 373 მოქალაქე – საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიულ პასპორტს, რაც სამოქალაქო რეესტრის ბაზებში 2 700 000 მეტი ზუსტი და უტყუარი მონაცემის არსებობას ნიშნავს.

# სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის ფაქტი | | | 2017 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 11.920,6 | 14.060,8 | 4.521,1 | 9.539,7 | 13.839,4 | 3.766,4 | 10.073,0 | 9.337,7 | 189,0 | 9.148,7 |
| გადასახადები | 1.547,5 | 1.882,2 | 0,0 | 1.882,2 | 3.393,3 | 0,0 | 3.393,3 | 4.200,0 | 0,0 | 4.200,0 |
| გრანტები | 9.032,5 | 10.717,2 | 4.521,1 | 6.196,1 | 9.166,0 | 3.766,4 | 5.399,6 | 4.695,1 | 189,0 | 4.506,1 |
| სხვა შემოსავლები | 1.340,6 | 1.461,4 | 0,0 | 1.461,4 | 1.280,1 | 0,0 | 1.280,1 | 442,6 | 0,0 | 442,6 |
| | | | | | | | | | | |
| ხარჯები | 9.523,3 | 10.390,2 | 1.009,7 | 9.380,5 | 10.289,2 | 544,1 | 9.745,1 | 8.613,9 | 189,0 | 8.424,9 |
| შრომის ანაზღაურება | 2.652,0 | 1.748,8 | 79,7 | 1.669,1 | 2.153,1 | 85,2 | 2.067,9 | 1.916,2 | 82,4 | 1.833,8 |
| საქონელი და მომსახურება | 1.493,8 | 1.792,6 | 850,6 | 942,0 | 1.707,7 | 368,2 | 1.339,5 | 1.199,8 | 15,9 | 1.183,9 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| პროცენტი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სუბსიდიები | 4.666,4 | 5.766,5 | 72,9 | 5.693,6 | 5.048,0 | 86,7 | 4.961,3 | 4.569,6 | 86,7 | 4.482,9 |
| გრანტები | 0,0 | 322,9 | 0,0 | 322,9 | 368,7 | 0,0 | 368,7 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 700,6 | 619,5 | 6,5 | 613,0 | 843,8 | 4,0 | 839,8 | 673,3 | 4,0 | 669,3 |
| სხვა ხარჯები | 10,5 | 139,9 | 0,0 | 139,9 | 167,9 | 0,0 | 167,9 | 255,0 | 0,0 | 255,0 |
| | | | | | | | | | | |
| საოპერაციო სალდო | 2.397,3 | 3.670,6 | 3.511,4 | 159,2 | 3.550,2 | 3.222,3 | 327,9 | 723,8 | 0,0 | 723,8 |
| | | | | | | | | | | |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2.168,9 | 3.524,4 | 3.394,3 | 130,1 | 4.181,3 | 3.448,2 | 733,1 | 723,8 | 0,0 | 723,8 |
| ზრდა | 2.299,4 | 3.567,8 | 3.394,3 | 173,5 | 4.261,3 | 3.448,2 | 813,1 | 773,8 | 0,0 | 773,8 |
| კლება | 130,5 | 43,4 | 0,0 | 43,4 | 80,0 | 0,0 | 80,0 | 50,0 | 0,0 | 50,0 |
| | | | | | | | | | | |
| მთლიანი სალდო | 228,4 | 146,2 | 117,1 | 29,1 | -631,1 | -225,9 | -405,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | | | | | | | | | |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 228,4 | 139,9 | 117,1 | 22,8 | -762,4 | -316,4 | -446,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ზრდა | 228,4 | 139,9 | 117,1 | 22,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 228,4 | 139,9 | 117,1 | 22,8 | 0,0 | | | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სესხები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 762,4 | 316,4 | 446,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | | 0,0 | | | 762,4 | 316,4 | 446,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სესხები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | | | | | | | | | |
| ვალდებულებების ცვლილება | 0,0 | -6,3 | 0,0 | -6,3 | -131,3 | -90,5 | -40,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საგარეო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 0,0 | 6,3 | 0,0 | 6,3 | 131,3 | 90,5 | 40,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საგარეო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0,0 | 6,3 | 0,0 | 6,3 | 131,3 | 90,5 | 40,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | | | | | | | | | |
| ბალანსი | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 |

| ფუნქციონალურ | დასახელება | 2014 წლის ფაქტი | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7035 | გამოყენებითი კვლევები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7036 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **704** | **ეკონომიკური საქმიანობა** | **1.993,3** | **2.482,1** | **2.384,8** | **97,3** | **3.711,3** | **3.016,8** | **694,5** | **696,3** | **0,0** | **696,3** |
| 7041 | საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70411 | საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70412 | შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 0,0 | 5,0 | 0,0 | 5,0 | 4,5 | 0,0 | 4,5 | 4,0 | 0,0 | 4,0 |
| 70421 | სოფლის მეურნეობა | 0,0 | 5,0 | 0,0 | 5,0 | 4,5 | 0,0 | 4,5 | 4,0 | 0,0 | 4,0 |
| 70422 | სატყეო მეურნეობა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70423 | მეთევზეობა და მონადირეობა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7043 | სათბობი და ენერგეტიკა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70431 | ნახშირი და სხვა სახის მყარი მინერალური საწვავი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70432 | ნავთობი და ბუნებრივი აირი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70433 | ბირთვული საწვავი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70434 | სხვა სახის საწვავი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70435 | ელექტროენერგეტიკა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70436 | არაელექტრული (მზის, ქარის, წყლის) ენერგია | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7044 | სამთომოპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70441 | მინერალური რესურსების მოპოვება, მინერალური საწვავის გარდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70442 | გადამამუშავებელი მრეწველობა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70443 | მშენებლობა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7045 | ტრანსპორტი | 1.988,4 | 2.456.7 | 2.384,8 | 71,9 | 3.699,2 | 3.016,8 | 682,4 | 687,3 | 0,0 | 687,3 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 1.988,4 | 2.456.7 | 2.384,8 | 71,9 | 3.699,2 | 3.016,8 | 682,4 | 687,3 | 0,0 | 687,3 |
| 70452 | საზღვაო ტრანსპორტი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70453 | სარკინიგზო ტრანსპორტი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70454 | საჰაერო ტრანსპორტი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70455 | მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7046 | კავშირგაბმულობა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7047 | ეკონომიკის სხვა დარგები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70471 | ვაჭრობა, მარაგების შექმნა, შენახვა და დასაწყობება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70472 | სასტუმროები და რესტორნები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70473 | ტურიზმი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70474 | მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7048 | გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70481 | გამოყენებითი კვლევები საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70482 | გამოყენებითი კვლევები სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, მეთევზეობასა და მონადირეობაში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70483 | გამოყენებითი კვლევები სათბობსა და ენერგეტიკაში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70484 | გამოყენებითი კვლევები სამთომოპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70485 | გამოყენებითი კვლევები ტრანსპორტის სფეროში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70486 | გამოყენებითი კვლევები კავშირგაბმულობის სფეროში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70487 | გამოყენებითი კვლევები სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 4,9 | 20,4 | 0,0 | 20,4 | 7,6 | 0,0 | 7,6 | 5,0 | 0,0 | 5,0 |
| **705** | **გარემოს დაცვა** | **77,7** | **104,0** | **0,0** | **104,0** | **26,6** | **0,0** | **26,6** | **15,0** | **0,0** | **15,0** |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 0,0 | 30,0 | 0,0 | 30,0 | 15,0 | 0,0 | 15,0 | 15,0 | 0,0 | 15,0 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7053 | გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7054 | ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7055 | გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7056 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში | 77,7 | 74,0 | 0,0 | 74,0 | 11,6 | 0,0 | 11,6 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **706** | **საბინაო-კომუნალური მეურნეობა** | **1.679,4** | **2.367,0** | **1.306,5** | **1.060,5** | **2.199,6** | **786,5** | **1.413,1** | **1.285,5** | **0,0** | **1.285,5** |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 106.9 | 95,5 | 0,0 | 95,5 | 96,0 | 0,0 | 96,0 | 90,0 | 0,0 | 90,0 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 580,5 | 609,7 | 0,0 | 609,7 | 656,3 | 0,0 | 656,3 | 630,0 | 0,0 | 630,0 |
| 7063 | წყალმომარაგება | 20,4 | 653,8 | 634,9 | 18,9 | 33,0 | 0,0 | 33,0 | 30,0 | 0,0 | 30,0 |
| 7064 | გარე განათება | 243,2 | 279,5 | 0,0 | 279,5 | 339,5 | 0,0 | 339,5 | 330,5 | 0,0 | 330,5 |
| 7065 | გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 728,4 | 728,5 | 671,6 | 56,9 | 1.074,8 | 786,5 | 288,3 | 205,0 | 0,0 | 205,0 |
| **707** | **ჯანმრთელობის დაცვა** | **92,6** | **92,0** | **72,9** | **19,1** | **109,5** | **86,7** | **22,8** | **109,5** | **86,7** | **22,8** |
| 7071 | სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70711 | ფარმაცევტული პროდუქცია | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70712 | სხვა სამედიცინო პროდუქცია | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70713 | თერაპიული დანიშნულების მოწყობილობები და აპარატები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7072 | ამბულატორიული მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70721 | ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70722 | სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70723 | სტომატოლოგიური მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 70724 | საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7073 | საავადმყოფოების მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70731 | ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70732 | სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70733 | სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70734 | სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 92.6 | 92.0 | 72,9 | 19,1 | 109,5 | 86,7 | 22,8 | 109,5 | 86,7 | 22,8 |
| 7075 | გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7076 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **708** | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **2.782,1** | **3.681,9** | **149,6** | **3.532,3** | **2.778,6** | **0,0** | **2.778,6** | **1.917,7** | **0,0** | **1.917,7** |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 1.523,8 | 2.232,7 | 0,0 | 2.232,7 | 1.470,3 | 0,0 | 1.470,3 | 764,1 | 0,0 | 764,1 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 991,7 | 1.144,3 | 149,6 | 994,7 | 985,6 | 0,0 | 985,6 | 853,6 | 0,0 | 853,6 |
| 7083 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 266,6 | 304,9 | 0,0 | 304,9 | 322,7 | 0,0 | 322,7 | 290,0 | 0,0 | 290,0 |
| 7085 | გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | |
| 7086 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **709** | **განათლება** | **1.197,0** | **1.640,6** | **356,7** | **1.283,9** | **1.639,6** | **0,0** | **1.639,6** | **1.615,0** | **0,0** | **1.615,0** |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 1.069,7 | 1.399,5 | 286,6 | 1.112,9 | 1.420,2 | 0,0 | 1.420,2 | 1.371,0 | 0,0 | 1.371,0 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 1,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 45,0 | 0,0 | 45,0 | 80,0 | 0,0 | 80,0 |
| 70921 | დაწყებითი ზოგადი განათლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70922 | საბაზო ზოგადი განათლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | 1,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 45,0 | 0,0 | 45,0 | 80,0 | 0,0 | 80,0 |
| 7093 | პროფესიული განათლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7094 | უმაღლესი განათლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70941 | უმაღლესი პროფესიული განათლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70942 | უმაღლესი აკადემიური განათლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7095 | უმაღლესისშემდგომი განათლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7096 | განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7097 | გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 126,1 | 241,1 | 70,1 | 171,0 | 174,4 | 0,0 | 174,4 | 174,4 | 0,0 | 164,0 |
| **710** | **სოციალური დაცვა** | **700,6** | **927,2** | **41,1** | **886,1** | **1.148,0** | **4,0** | **1.144,0** | **976,7** | **4,0** | **972,7** |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 274,1 | 308,7 | 36,8 | 272,9 | 282,5 | 0,0 | 282,5 | 267,7 | 0,0 | 267,7 |
| 7103 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 102,6 | 133,4 | 0,0 | 133,4 | 133,0 | 0,0 | 133,0 | 124,0 | 0,0 | 124,0 |
| 7105 | უმუშევართა სოციალური დაცვა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7106 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 317,4 | 466,1 | 0,0 | 466,1 | 710,0 | 0,0 | 710,0 | 565,0 | 0,0 | 565,0 |
| 7108 | გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 6,5 | 19,0 | 5,3 | 13,7 | 22,5 | 4,0 | 18,5 | 20,0 | 4,0 | 16,0 |
| | სულ | 11.823,3 | 13.958,0 | 4.404,0 | 9.554,0 | 14.551,7 | 3.992,3 | 10.559,4 | 9.387,7 | 189,0 | 9.198,7 |

რუბრიკა

# არ არის დღე, წიგნი არ წავიკითხო...

ნათია ნაცვლიშვილი

***ჩვენი რუბრიკის სტუმარი ადამიანთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელთათვისაც წიგნი სულის პურია. წიგნის გარეშე ჩავლილ დღეს ის დღედ არ მიიჩნევს. ფიქრობს, რომ მომავალი თაობის აღზრდაში წიგნის როლი არ გადაფასებულა, თუმცა კომპიუტერის ამოუწურავ შესაძლებლობებსაც აღიარებს. მეექვსე საჯარო სკოლის დირექტორი, ლეილა კუბლაშვილი ჰუმანიტარული პროფილის ადამიანი არ არის, მაგრამ მხატვრულ ლიტერატურას განსაკუთრებულად სწყალობს.***

*_ ტექნიკური ბეგ რაუნდის ადამიანებს არც უნდა მოეთხოვებოდეთ მხატვრული ლიტერატურის სიყვარული, მაგრამ თქვენ სასიამოვნო გამონაკლისი ბრძანდებით, საიდან იღებს სათავეს თქვენს შემთხვევაში წიგნის და ზოგადად, ლიტერატურის სიყვარული?*

_ გალაკტიონი ამბობს: ‘‘არის მკითხველი მშვენიერ წიგნის და არის კიდევ, გადამკითხველი.’’ ბევრჯერ მოვუბრუნდები ერთსა და იმავე წიგნს სიღრმისეული წაკითხვის შემდეგ. სხვადასხვა კუთხიდან შეგიძლია შეხედო მოვლენას, ეს მოვლენები მხატვრულადაც მაინტერესებს და ასევე ჩემი სპეციალობის კუთხითაც _ რაც ეხება აღზრდას, დიდაქტიკას. პროფესიით ქიმია-ბიოლოგი გახლავართ, დედა ფილოლოგი მყავდა, მამა _ ექიმი, და ფილოლოგი, ძმა _ ჟურნალისტი, საქართველოს ტელევიზიის დასავლეთ საქართველოს კორესპონდენტი იყო, მეხუთე შვილი გახლდით და ჩემი დედმამიშვილების წყალობით სკოლაში წასვლამდე ბარათაშვილის ‘‘მერანი’’ ზეპირად ვიცოდი. თავიდანვე ძალიან მიყვარდა ლიტერატურა, მქონდა ძალიან დიდი ბიბლიოთეკა და ამჟამად ჩვენს სკოლაშიც სისტემატურად ვზრუნავ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლებასა და გაზრდაზე. ჩვენი ბიუჯეტის დიდი ნაწილი აქეთკენ მიდის.



**_ თქვენი შვილები არიან წარმატებულნი, ამ თაობის წარმატებაში წიგნის როლი დიდია, თქვენი შვილიშვილების თაობა უკვე დისტანცირებულია წიგნთან. დაკარგავს თუ არა ეს თაობა ბევრს ამის გამო?**

_ იმ თაობას მივეკუთვნები, რომლისთვისაც წიგნი იყო უმთავრესი ღირებულება და ფასეულობა, შვილებიც წიგნის სიყვარულით გავზარდე, ლიტერატურა მათაც ძალიან უყვართ, ვერ ვიტყვი, რომ კომპიუტერის ეპოქაში დაბადებული ადამიანი შეიძლება ვერ განვითარდეს, ინფორმაციას ყველგან მოიძიებს, მაგრამ სკოლიდანვე უნდა ვიზრუნოთ, რომ წიგნი შევაყვაროთ ბავშვებს.

**_ საქართველოში, წიგნის ქვეყანაში, საქმე იქამდე მივიდა, რომ ყვითელ ჟურნალებს მიაბეს წიგნი, არადა, ალბათ, პირიქით უნდა იყოს_ წიგნმა უნდა გაყიდოს ჟურნალი....**

_ წიგნების ყიდვა მარტო წიგნის სიყვარულზე არ არის დამოკიდებული, საკმაოდ ძვირადღირებულია ეს წიგნები, ამიტომ, არ შეუძლია მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს წიგნის ყიდვა, მინდა მქონდეს იმედი, რომ არ გაქრება წიგნის სიყვარული.

**_ რომელიმე ქართველ პოეტს ან მწერალს შეხვედრიხართ?**

_ მორის ფოცხიშვილი სოფელ ჭაგანს სტუმრობდა ჩვენს ნათესავებთან, ჩემს შვილებს მისი ნაჩუქარი უამრავი წიგნი აქვთ. ის ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და გამოივლიდა ხოლმე ამ სოფელში, ისვენებდა მეუღლესთან ერთად, შესანიშნავი პიროვნება იყო. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ მისი ‘‘ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები’’ ჰიტად იქცა, მას მთელი საქართველო მღეროდა, პოეტმა არაერთ კონცერტზე მიგვიწვია, სადაც ეს სიმღერები აჟღერდა, ამ დიდებულ პოეტთან ურთიერთობა მართლაც დაუვიწყარი იყო. პოეტ ხუტა ბერულავას ქალიშვილს კარგად ვიცნობდი, ის ექიმი იყო და მეცხრე საავადმყოფოში ფუნქციური დიაგნოსტიკის ლაბორატორიაში მუშაობის პერიოდში გავიცანი. მაქვს ასევე პოეტ გრიგოლ ჯულუხიძის ნაჩუქარი პოეტური კრებული.



**_ სხვა რომელი პოეტები მოგწონთ?**

_ ქართველ ადამიანს, ალბათ, უსაზღვროდ შეუძლია ილაპარაკოს რუსთაველზე, ჩემი მოსწავლეობის პერიოდში პირველი ადგილი ავიღე ‘‘ვეფხისტყაოსნის’’ ზეპირად ცოდნის კონკურსში. ნახევარზე მეტი ზეპირად ვიცოდი, სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებში უამრავჯერ მივიღე მონაწილეობა, სკოლა თერჯოლაში დავამთავრე, განსაკუთრებულად მომწონს გალაკტიონი, მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, იოსებ ნონეშვილი.

**_ საყვარელი პროზაიკოსები...**

_ ძირითადად, ფსიქოლოგიური ნაწარმოებების კითხვა მიყვარს, ასევე მიყვარს შექსპირი, გოეთე, არ არის ჩემს ცხოვრებაში დღე, მე რომ წიგნი არ წავიკითხო. ამჟამად ვკითხულობ მიხეილ კვესელავას ‘‘ფაუსტიკურ პარადიგმებს,’’ წიგნი ძველია და ახალი რედაქციით გამოვიდა.

**_ სკოლას, რომელსაც ხელმძღვანელობთ, დიდი ტრადიციები აქვს, რამდენად ღირსეული ცვლა ჰყავს დღეს სკოლას?**

_ ნამდვილად ღირსეული, წიგნიერი თაობა გვყავს. სკოლის ბიბლიოთეკაში უამრავ საინტერესო ღონისძიებას ვაწყობთ, დავდგით ‘‘ბაში-აჩუკი’’ და ‘‘იავნანამ რა ჰქმნა’’, მოვაწყვეთ ფილმების ჩვენება, ერთი სიტყვით, სისხლსავსე, საინტერესო ცხოვრებით ვცხოვრობთ.

# როგორ ჩამოუთოვია დალი მასწავლებლისათვის 70 წელს

ნათია ნაცვლიშვილი

‘‘მაგ შევარცხლილ თმების კორიანტელში ერთი თეთრი იქნებ ჩვენი ბრალიაო,’’ ლექსით მოეფერა მე-9 კლასელი მოსწავლე პირველ მასწავლებელს, იუბილარ პედაგოგს, დალი ღამბაშიძეს. ის უკვე 70 წლისაა, თავისი ღირსეული ცხოვრების თვალსაწიერს თვალი მოსწავლეებთან ერთად გადაავლო პედაგოგმა. ფოტო და ვიდეო კადრების კიდევ ერთხელ გაელვებამ დალი მასწავლებელსა და მის მოსწავლეებს ერთნაირად მოჰგვარა ცრემლი. უფროს პიონერხელმძღვანელად მე-13 (ამჟამად მე-10) სკოლაში მისულმა დაწყებითების პედაგოგმა დალი ღამბაშიძემ უკვე ამ სკოლაში მუშაობის 50 წელი შეასრულა, პასუხისმგებლობის გრძნობით, პედაგოგისათვის დამახასიათებელი მიტევების ნიჭით, მოსწავლეთა უდიდესი სიყვარულით რომ დაუჯილდოვებია უფალს ეს ქალბატონი, ამიტომაცაა, სკოლამ იუბილე ლამაზად რომ აღუნიშნა. უამრავი თბილი სიტყვა უთხრეს ყოფილმა მოსწავლეებმა, გაიხსენეს მეტეორივით ჩაქროლებული წლები, სკოლის მემატიანე, ოქროს ფონდი და საუნჯე-ასე დაახასიათეს პედაგოგი.

მისი აღზრდილები უკვე წარმატებული ადამიანები არიან, დარბაზში იმყოფებოდა მაცხოვრის ფერისცვალების ტაძრის წინამძღოლი, დეკანოზი მამა ათანასე (რუხაძე). ქალბატონი დალი ფერისცვალების ტაძრის მრევლია, იუბილარი მამა ათანასემ წმინდა ნიკოლოზის საფლავზე ნადები ხატითა და სანთლით დაასაჩუქრა. 4 შვილის დედასა და სამი შვილიშვილის ბებიას შვილებითა და შვილიშვილებითაც აქვს საამაყო, ლუკა და დათო და მათი მეგობრები ბებიას მისივე დაწერილი ლექსებით მიესალმნენ. ზუკა კი სკოლის სასწავლო ნაწილის, ნანა ნიკოლეიშვილის ლექსით მიესალმა ბებოს.

სკოლის დირექტორმა, თამარ თევზაძემ პედკოლექტივის სახელით მადლობა გადაუხადა დაუზარელ, გამრჯე და ასაკის წინაშე მედგრად მდგომ პედაგოგს და ჯანის სიმრთელე უსურვა. მანვე გააჟღერა სკოლაში დამკვიდრებული ახალი ტრადიციის შესახებაც: ამიერიდან ყველა პედაგოგს, ვისაც 70 შეუსრულდება, სკოლა იუბილეს აღუნიშნავს.

უდიდესი სითბოთი მიესალმნენ დალი მასწავლებელს ყოფილი კოლეგა, 86 წლის თინა წითელაშვილი და სკოლის ბიბლიოთეკარი ანტონინა კახიანი.’’სამტრედიის მაცნეს’’ დირექტორმა, ბეჟან გოგიამ ძალიან თბილად დაახასიათა ყოფილი პიონერხელმძღვანელი და მიმართა: ‘‘ ძალიან რთული ოპერაცია გაიკეთეთ, ერთი თირკმელით ცხოვრობთ, და არა ორით, თორემ, რა გაგაჩერებდათ - დასძინა ხუმრობით ბატონმა ბეჟანმა.’’მადლობა უფალს, დალი რომ დადის სამტრედიიის ქუჩებში და მადლობა სკოლას, ასე რომ ეფერებით მას’’_ ბრძანა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორის მოადგილემ, ელიკო ანკვაბმა. არა მარტო საზოგადოებრივი აქტიურობით გამორჩეული ქალბატონი ხართ, არამედ, შესანიშნავი შვილების დედა და შვილიშვილების ბებია._ მიმართა იუბილარს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის განყოფილების გამგემ, გულიკო ცინცაძემ. ‘‘ამ სკოლას არასოდეს უკვირდა აქტიურობა, ის საუკეთესო კადრების სამჭედლო იყო, დალი მასწავლებელი კი სიახლის მიების გრძნობით დაჯილდოვებულიო, აღნიშნა თავის გამოსვლაში სკოლის ყოფილმა მოსწავლემ, მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის სპეციალისტმა, დარეჯან ქავთარიამ. ასევე ყოფილმა მოსწავლემ, მე-12 საჯარო სკოლის პედაგოგმა ნინო შენგელიამ დალი ღამბაშიძის ბობოქარი მოღვაწეობის წლები გაიხსენა, თუ როგორ ჩამოიყვანა საქართველოს რადიოს საბავშვო გადაცემის ჟურნალისტი სკოლაში გადაცემის მოსამზადებლად. სულიერ დას მიესალმა ქეთევან ჭავჭანიძე,_ როგორ ჩამოუთოვია დალი მასწავლებლისათვის 70 წელს? ბრძანა მისასალმებელ სიტყვაში სკოლის 32 წლიანი სტაჟის მქონე პედაგოგმა, მანანა ჯულაყიძემ და პედაგოგს ლექსით მიესალმა. ასევე ექსპრომტით მიესალმა იუბილარს მშობელი, ნაზი კოპალეიშვილი.’’შრომას და სიკეთეს შორის გადებული ხიდი არასოდეს ჩაგიტეხიათ’’_ ყოფილი პედაგოგი და კოლეგა ზაიდა გრიგოლია იუბილარს ვიდეომიმართვით შეეხმიანა. ღონისძიება ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა მარინა ცინცაძემ და მუსიკის პედაგოგმა ლელა ბოხუამ მოამზადეს. სკოლის მოსწავლეებმა საღამო ლამაზი მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრებით გაალამაზეს.

_ცხოვრებაში ბედნიერი დღეები არც ისე მრავალია, ბევრი გაჭირვება მინახავს, მაგრამ დღევანდელი დღე ესაა უბედნიერესი, ქედს ვიხრი მამა ათნასეს წინაშე, რომ არა ლოცვის უდიდესი ძალა, მე ვერ ვიცოცხლებდი, მადლობა ყველას_მიმართა იუბილარმა შეკრებილთ.







# როცა ყველაფერი არ მთავრდება

იქ, იმ დღეს ბორცვად დამდგარ საფლავებთან ვანო და თემურ ვაშაკიძეების სიცოცხლე არ დასრულებულა. ისინი ისევ გიღიმიან, გაოცებენ, ნუგეშსა და სიყვარულს გჩუქნიან იმ სამყაროდან ასე შორს და ახლოსაც რომ არის.

ეს წერილიც მარადიულ სიყვარულზეა, ვანოს მეგობრებმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "სამედიცინი გაზეთში" რომ დაბეჭდეს.

... ამჯერად მარტო, ბიჭების გარეშე მოვიდა "სამტრედიის მაცნეში", ახლა ასეთი შვილები ეამაყება მამას!... ჩვენც მათ გარეშე დავწერთ მათზე, ტკივილით და სინანულით...

... ყოველ დასასრულს დასაწყისი მოჰყვება, ყოველ დასაწყისს კი დასასრული ცვლის. ამქვეყნიური სიცოცხლე სრულდება, მაგრამ აუცილებლად იწყება რაღაც ახალი...

ცხოვრება ეტაპებისაგან შედგება. თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება აქვს. ვიწყებთ უმარტივესიდან და თანდათან ვართულებთ. წესისამებრ, ეტაპები ნელ-ნელა იცვლება – საკმაოდ ადაპტირებულებს ამ სამყაროში, გვიწევს საბავშვო ბაღში წასვლა, ბაღს სკოლა ცვლის, სკოლას – უნივერსიტეტი, უნივერსიტეტს – რაღაც ახალი, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ წესები ირღვევა და ჩვენც იძულებულნი ვართ, აქ შევჩერდეთ...

უნივერსიტეტის პირველი დღე – დღე, როდესაც ყველაზე ახლოს ხარ მიზანთან, დღე, როდესაც ყველაფერზე ოცნებობ, ბედნიერების ქაოსში ხარ გახვეული, გინდა, ყველას გაეცნო, მოუყვე შენ შესახებ, გინდა, ყველა შენი მეგობარი გახდეს... სწავლის პირველ დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფის შექმნაა. შემთხვევით, სრულიად დაუგეგმავად ვიკრიბებით, ვნერვიულობთ – შეიძლება ან გაგიმართლოს, ან – არა. ჩვენ კი, მე-5 ჯგუფი, ამ მხრივ, იღბლიანად ვთვლით თავს – შევიკრიბეთ გუნდი, რომელიც თანდათან პატარა ოჯახად იქცა. წესისამებრ, გუნდს ლიდერი სჭირდება, ჩვენს გუნდს კი უკვე ერთი შეუცვლელი და ღირსეული ლიდერი ჰყავს, მას "კვატების" ჯგუფხელი, "სპეტაკი ვანო" ჰქვია ("სპეტაკი" თავად უწოდა თავის თავს, ჩვენ კი ავიტაცეთ და მას შემდეგ ასე მივმართავთ).

თავიდან რთულია უცხო ადამიანების გარემოში ყოფნა, არსებობს რაღაც ბარიერი. ჩვენს შემთხვევაშიც ასე იყო, მაგრამ ბარიერი მალევე დაინგრა და დაიწყო ის ბედნიერი ერთი წელი, რომელიც ვიცით, რომ არასდროს და ვერასდროს განმეორდება...

...გვინდა მოგითხროთ ადამიანზე, რომელიც ჩვენთვის სამაგალითოა. ჩვენი ვანო განსაკუთრებულია, მას საოცრად კეთილი თვალები აქვს. პირველივე დღეს, რაც მასში შევამჩნიეთ, მისი სიკეთით მოციმციმე თვალები იყო. ერთი შეხედვით, თითქოს სერიოზული ბიჭია, "არანაირი სიცანცარე" მასში არ არის, მაგრამ რეალობა სულ სხვანაირია. ვანო ძალიან აქტიური და კომუნიკაბელურია. უყვარს ხალხთან ურთიერთობა, სანამ ჯგუფი შევიკრიბებოდით მანამდე დაიწყო ჩვენი გაცნობა, უნდოდა ყველა გაეცნო და ასეც მოხდა.

როდესაც ჯგუფხელის არჩევის საკითხი დადგა, ვანომ, ზედმეტი ფიქრის გარეშე, გამოგვიცხადა, რომ სურდა ჯგუფხელობა და ჩვენც დავთანხმდით. ამის შემდეგ კი ის თავის მოვალეობას ღირსეულად ასრულებს.

როგორც აღვნიშნეთ, ვანო, ერთი შეხედვით, სერიოზული ბიჭია, მაგრამ, ვინც კარგად იცნობს, იცის მისი იუმორის შესახებაც. ის ყოველთვის მზადაა ადამიანი გაალღიმოს, სრულიად სერიოზული საუბრისას შეუძლია, იხუმროს ისე, რომ მიმიკა არ შეიცვალოს, სხვას კი გაცინება "აიძულოს". ერთხელ ლექტორს მოსვლა დააგვიანდა, დეპარტამენტი კი დაკეტილი დაგვხვდა. ვანო კართან მივიდა, ფურცელი ამოიღო და დაწერა: "ვიყავით, არ იყავით, სად იყავით?" და კარზე გააკრა... ყველაფერს აკვირდება და სასაცილოდ აქცევს ხოლმე. ერთხელ მთელი ჯგუფი უქმად ვიყავით, ვანომ გადაწყვიტა, პატარა სახელმწიფო შეექმნა, სადაც ყველას ჩვენ-ჩვენი თანამდებობა გვექნებოდა, თვითონ კი თავი დიქტატორად გამოაცხადა...



...ვანო ყოველთვის ღიღინებს, თითქმის ყველა ქალაქური სიმღერის ტექსტი ზეპირად იცის. ხშირად დაფაზეც გვიწერს ხოლმე და აღფრთოვანებული შემოგვცქერის. ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ ყველა ჯგუფელის მამის სახელი იცის, ასევე მოგვმართავს კიდეც.

...ვანოს სავიზიტო ბარათი "დაკუჭული ხალათია", რაზეც ყოველთვის დავცინით, ხშირად ვთხოვთ, გააუთოვოს, მაგრამ – უშედეგოდ.

"კვატების" ჯგუფხელი კარგი კულინარიცაა და ჭამა უყვარს. მისი საფირმო კერძი "მოხარშული ხაჭაპურია". ერთხელ ბლინებიც გააკეთა, ძალიან უხაროდა. კარგი კულინარობა ვანოს აღნაგობასაც დაეტყო, დროთა განმავლობაში საგრძნობლად მოიმატა, რაზეც ხშირად ვხუმრობდით. ყოველ რეპლიკაზე "როგორ გასუქებულხარ", ერთსა და იმავე პასუხს ვიღებდით – "ხვალ ვარჯიშს ვიწყებ და დავიკლებო".

მაგრამ კულინარია სულაც არ არის მისი ერთადერთი ძლიერი მხარე. ვანო კარგად ერკვევა თანამედროვე ტექნოლოგიებში, კინემატოგრაფიაში, წარმატებულად მონაწილეობს ინტელექტუალურ თამაშებში, თუმცა, მისი მთავარი ინტერესის სფერო მაინც მედიცინაა. მიუხედავად დროის სიმცირისა, მაინც ხშირად დადის კლინიკაში პრაქტიკული ცოდნის მისაღებად, რადგან მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე რთული მიმართულების – ნეიროქირურგიის – დასაუფლებლად ემზადება. ვანო უნივერსიტეტშიც განსაკუთრებულია, საკმაოდ კარგად სწავლობს, მაგრამ გამორჩეულად იმ საგნებს ეუფლება, რომელიც ძალიან უყვარს. არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰისტოლოგიის დეპარტამენტთან, სადაც მან საუკეთესოდ წარადგინა პროექტი და ძალიან გაახარა ლექტორის ნათქვამმა, რომ ის ძალიან კარგი ბიჭია. გვახსოვს, რა ამაყი და ბედნიერი იყო ამ დროს ვანო. ჰისტოლოგიის საგნის პედაგოგი, ქალბატონი მაია გაგუა, ამბობს: "ძალიან მძიმეა და ძნელად წარმოსადგენი, როცა შენი სტუდენტი ცხოვრებიდან მიდის. ეს იყო პირველი და იმედი მაქვს, – ბოლო შემთხვევა ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში. ვანო კარგი სტუდენტი, არა მარტო იმის გამო იყო, რომ კარგად სწავლობდა, არამედ ის იყო ძალიან პოზიტიური, ხალისიანი, სხარტი გონების ახალგაზრდა. მე ის ყოველთვის მემახსოვრება, როგორც ნიჭიერი და ღიმილიანი".

...იცით, ვანო რომანტიკოსიცაა. მას ერთადერთი და მარადიული სიყვარულის სჯერა. ჩვენ ჯერ სკეპტიკურადაც ვუცქერდით 18 წლის ბიჭის განაცხადს და ხშირად ვეკამათებოდით, გვინდოდა, დაგვერწმუნებინა იმ რეალობაში, რომ ერთადერთი და მარადიული სიყვარული არ არსებობს, მაგრამ ვანომ, როგორც ყოველთვის, გვაჯობა და დაგვიმტკიცა, რომ შესაძლებელია, სიცოცხლის ბოლომდე ერთი გიყვარდეს.

...ჩვენი ჯგუფხელი მეგობრული და მზრუნველია. ვანოს, ჩასახუტებლად გამზადებული, გაშლილი მკლავების გარეშე, გამოცდა წარმოუდგენელია. ყოველთვის, როცა მოწყენილს გხედავს, მოდის, გვამშვიდებს, გვეუბნება, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ხელებს გვიშლის, – მოდი, ჩაგეხუტოო. ხშირად უმიზეზოდ გვთხოვს ჩახუტებას. ყველაზე ბედნიერი მომენტი ბოლო გამოცდის დღეა, როცა, უკვე თავისუფლებს გვიწევს, ერთმანეთს კარგა ხნით დავემშვიდობოთ, ვანო, საზაფხულო არდადეგების წინ – ბოლო გამოცდის დღეს, განსაკუთრებულად დაგვემშვიდობა. არასდროს დაგვავიწყდება გზა უნივერსიტეტიდან მეტრო "დელისამდე", ვანოსთან ერთად განვლილი უკანასკნელი გზა – ყველას ძლიერ ჩაგვეხუტა, მოგვეფერა, ჩვენ ამაში უცნაური ვერაფერი დავინახეთ და მხოლოდ იმ იმედით დავცილდით, რომ ახალ სასწავლო წელს ერთად დავიწყებდით, მაგრამ...

გაგიკვირდათ, ალბათ, ვანოზე ისევ აწმყოში რომ ვლაპარაკობთ, ისევ ვამბობთ – ვანო კარგია, ვანო განსაკუთრებულია. არ გვინდა, იგი ოდესმე "იყო" გახდეს, მერე რა, რომ ხორციელი ცხოვრება დატოვა, ის მაინც ჩვენთანაა, ჩვენთან ერთად აგრძელებს ცხოვრებას, ჩვენს მოგონებებშია, ჩვენს გულებში... ყველას ძალიან გვენატრება, არც ერთი დღე არ გადის მასზე ფიქრის გარეშე; ყველას გვიჭირს, გავურბივართ მასზე საუბარს, მაგრამ მარტონი რომ ვრჩებით, ყოველთვის მასზე ვფიქრობთ...





გვიჭირს, არა მხოლოდ ჩვენ, ვანოს მეგობრებს, არამედ – პედაგოგებსაც, ვისაც ვანოსთან შეხება მცირე ხნით მაინც ჰქონდა. ჰისტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი რუსუდან რუხაძე აღნიშნავს: – "ძალიან ძნელია იოანე ვაშაკიძეზე წარსულ დროში ისაუბრო, მისი გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია ოჯახისთვის, უნივერსიტეტისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის. იოანე ვაშაკიძე გამორჩეული, ძალიან პერსპექტიული სტუდენტი იყო, თავისი ნიჭით, სწავლის უნარით, ზრდილობით. უნივერსიტეტში სწავლების ერთი წელიც საკმარისი აღმოჩნდა ამის შესამჩნევად. დარწმუნებული ვარ, რომ თითოეულ ჩვენგანს, ვინც მას ვასწავლიდით, ამ ერთი წლის მანძილზე, არასდროს დაავიწყდება მისი სანდომიანი ღიმილი და სამუდამოდ დარჩება ტკივილი ამ შესანიშნავი ახალგაზრდის უდროოდ წასვლის გამო."

ისეთი ადამიანი, როგორიც ვანოა, არ შეიძლება დავივიწყოთ, ვანოს სიცოცხლე ყველაზე მეტად სჭირდებოდა. მან ამქვეყნიდან წასვლის მიზეზითაც დაამტკიცა თავისი ფასი – ძმის სიყვარული სიცოცხლის წყურვილზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, იმდენად ძლიერი, რომ ფიქრიც კი არ დასჭირვებია, თემოს გადასარჩენად თავი გაეწირა, თუმცა, საუბედუროდ, ბედისწერამ არც ერთი არ დაინდო. ვანოსთვის თემო განსაკუთრებული იყო, ხშირად გვიყვებოდა მასზე, გვეუბნებოდა, რომ გაცილებით ჭკვიანია, ძალიან ამაყობდა მისით. ვანო თემოზე დიდ იმედებს ამყარებდა, იმედებს არ უცრუებდა, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ თემო მიმდინარე წელს თსუ-ის პირველკურსელი გახდა, ასპროცენტიანი საგრანტო დაფინანსებით...

ვანო ოცნებობდა, სხვებისთვის საჭირო გამხდარიყო, ისეთი კაცი, ყველა პატივს რომ სცემდა და დააფასებდა... ვანო ყოველთვის მოგვიწოდებდა სწავლისკენ, რომ საუკეთესონი უნდა ვყოფილიყავით, სტიმულს გვაძლევდა. მით უმეტეს ახლა, როცა უფრო მეტად ვართ ვალდებულნი, მისი სულის უკვდავებისათვის ბევრი რამ უნდა შევძლოთ...

დოსტოევსკის უთქვამს – "რა საზიზღარია ადამიანი, იტირეს, იტირეს და შეეჩვივნენ". ჩვენ ვანოს გარდაცვალებას ვერ შევეჩვიეთ, შევეჩვიეთ დროებით მის გარეშე არსებობას, მხოლოდ იმ იმედით, რომ სადღაც ისევ შევხვდებით ერთმანეთს...

... გვენატრები, უსაზღვროდ გვენატრები. როცა, ადრე თუ გვიან, ისევ შევხვდებით, ვიცით, ისევ ის ახალგაზრდა, ღიმილიანი, კეთილთვალება ბიჭი იქნები, რომელიც ისევ გაშლის ხელებს ჩვენს ჩასახუტებლად და წინ გაგვიძღვება...

***მედიცინის ფაკულტეტის III სემესტრის V ჯგუფის სტუდენტები***



მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარის, ყოფილი თანამშრომლის ქალბატონი

**ეთერ ახალაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რუსთაველის ქუჩის № 111-ში მდებარე საერთო საცხოვრებელი სახლის მე-3 სადარბაზოს მეზობლები თანაუგრძნობენ ინეზა მეფარიშვილის ოჯახს ქალბატონი

**მერის**

გარდაცვალების გამო

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ნატო მიქაძეს

**დედის**

გარდაცვალების გამო.



# მოაზროვნე მწვრთნელი, პერსპექტიული ფეხბურთელები _ "სამტრედია" ჩემპიონია

ცივი ამინდი საფეხბურთო გარემოს ვერ ჰქმნიდა, მაგრამ დასავლეთ ტრიბუნის პირველი იარუსის დიდი ნაწილი შეივსო. დაძაბულობა დიდი იყო, მატჩის მნიშვნელობა კი ოქროთი ფასდებოდა. ეს ყველაფერი მატჩის ხასიათზეც აისახა და ისეთივე სანახაობრივი არ გამოდგა, როგორც _ პირველი.

საჩხერლებს 3 ბურთიანი უპირატესობით მოგება სჭირდებოდათ. ამის კვალობაზე, "ჩიხურასაგან" შემტევ შემადგენლობას ელოდნენ. მაგრამ, როცა სოსო ფრუიძემ საყრდენი ნახევარმცველის დენის დობროლოვსკის ნაცვლად, მცველი ლევან კაკუბავა დააყენა. გასაგები გახდა, რომ საჩხერელთა დამრიგებელი ფრთხილ ტაქტიკას არც ამჯერად ღალატობდა და თავიდანვე მეტოქეს თავქუდმოგლეჯილი არ შეუტევდა.

სამტრედიელების ტაქტიკაზე კი გია ცეცაძის რეპლიკებიც მეტყველებდა: "ნუ ჩქარობთ! ბურთი აგორავეთ!" _ მათი თამაშით ცხადი გახდა, რომ ბურთის გაგორებით ტემპის დაგდება და მეტოქის კონტრშეტევაზე გამოჭერა სურდათ.

საჩხერლები უტევდნენ, მაგრამ სისწრაფე არ ჰყოფნიდათ და თამაშს ვერ ამწვავებდნენ, ხოლო კარის აღებას შორეული დარტყმებით ცდილობდნენ. ასე ვერაფერს მიაღწიეს. 25-ე წუთზე პენალტის დანიშვნას ითხოვდნენ, როცა თორნიკე მუმლაძის შეტევისას საჯარიმოდან გიორგი დათუნაიშვილმა ბურთი მოიგერია რეალურად, სამტრედიელთა კაპიტანმა მკერდით ითამაშა და არა ხელით.

საჩხერლებს შტურმი არ გამოუვიდათ, მაგრამ მთელი გუნდით შეუტიეს და დაცვაში ყურადღება მოადუნეს. ამით სტუმრებმა ისარგებლეს და მეტოქე კონტრშეტევაზე დაიჭირეს. ისევ პირველი შეხვედრის გმირმა, ბუდუ ზივზივაძემ გაიბრწყინა: საჯარიმოსთან ბურთი დათუნაიშვილმა ჩაჭრა და მოედნის ცენტრში ზივზივაძე შენიშნა, რომელიც საჯარიმოსკენ დიდ სისწრაფეზე დაიძრა, შოთა კაშია ეფექტური ფინტით (ბურთი ფეხებშუა გაუტარა) ჩამოიშორა, ბოლომდე იბრძოლა და "ჩიხურას" კაპიტანი პენალტზე "წამოიკიდა". 11 მეტრიანი ზუსტად შეასრულა ბაჩანა არაბულმა და საჩხერელთა მდგომარეობა, ფაქტობრივად, უიმედო გახდა.

"ჩიხურამ" მაინც შეუტია, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოუვიდა. ყველაზე სახიფათო საბა ლობჟანიძის წამოწყებული იერიში გამოდგა, რომელიც მიხეილ სარდალიშვილმა გააგრძელა და ოდნავ არაზუსტი დარტყმით დაასრულა.



მეორე ტაიმში ფრუიძემ წინა ხაზის გაძლიერება სცადა, მაგრამ "ჩიხურა" სამტრედიელთა კართან რეალურ საფრთხეს ვერ ჰქმნიდა, პირიქით, მალე იქით მიიღო მეორე გოლი: არაბულმა კაკუბავას აართვა ბურთი და უცებ მოძებნა ზივზივაძე, რომელმაც ამჯერადაც გაიბრწყინა _ ერთი შეხებით დათუნაიშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვა და ჰამზიჩს ბურთმა თავზე გადაუფრინა _ 0 : 2.

ყველაფერი გასაგები გახდა. სამტრედიელებიც მოეშვნენ, სულ უფრო ხშირად გასცქეროდნენ ტაბლოს, დაცვაში კი შეცდომებს უმატეს. მეორე მატჩის მოგება ხელიდან ამიტომაც გაუშვეს.

საჩხერლებმა სხვაობა 83-ე წუთზე შეამცირეს: მოედნის ცენტრში გიორგი გაბედავამ გიორგი გამყრელიძეს აართვა ბურთი და საჯარიმომდე ისე მივიდა, ხელი არავინ შეუშალა, მშვენიერი გადაცემით ბესიკ დეკანოიძე დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა და მანაც ზუსტად "გაისროლა" _ 1 : 2.



დამატებულ დროში კი საჩხერლებმა წონასწორობაც აღადგინეს: თორნიკე გრიგალაშვილი საჯარიმოში დავით ჯიქიამ მოცელა, ლობჟანიძემ კი ზუსტად შეასრულა პენალტი და საბოლოო შედეგი დააფიქსირა _ 2 : 2.

ამრიგად, "ჩიხურა" ორი მატჩის ჯამში 2 : 4 დამარცხდა, ცეცაძის გუნდმა კი ჩემპიონობა დამსახურებულად იზეიმა და 2017-2018 წლების სეზონში საქართველოს ჩემპიონთა ლიგის კვალიფიკაციაში წარადგენს, ხოლო "ჩიხურა" ევროპალიგაზე ითამაშებს.

მატჩის შემდეგ გამარჯვებულები ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა დააჯილდოვეს. იფეთქა შამპანურმა, რომელიც უფრო რისკიანებმა შესვეს და ფოიერვერკმაც არ დააგვიანა.

"სამტრედია" მე-8 გუნდია, რომელიც თბილისის "დინამოს", ქუთაისის "ტორპედოს", "ვიტ-ჯორჯიას", "ზესტაფონის", რუსთავის "მეტალურგის", ბოლნისის "სიონისა" და გორის "დილას" შემდეგ ჩემპიონის ტიტულს დაეპატრონა. ამ ჯილდოსთვის ტარიელ ჩაჩუას მიერ დაწყებული ბრძოლა 21 წლის წინათ უსამართლობამ შეაჩერა. "სამტრედიას" ამჟამინდელმა თავკაცებმა და გუნდმა ამ მიზნის მიღწევა დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოახერხეს _ ამ გუნდმა და ამ ქალაქმა ეს ნამდვილად დაიმსახურა. ქართულ ფეხბურთის კი სათავეში მოექცა გუნდი, რომელიც სანახაობრივად თამაშობს, მოაზროვნე მწვრთნელი და პერსპექტიული ფეხბურთელები ჰყავს. ასევე საოცრად ერთგული და გულანთებული გულშემატკივარი. იმედია, "სამტრედიის" წინსვლა ამით არ დასრულდება.



"სამტრედიის მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაზუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა

რკინიგზაზე ორი სიტყვა
ვოქვი და სანანებლად მექცა,
არ დაგვინდო მიქელაძემ,
დაგვაჩმორა სხვაც და მეცა.
შემეშინდა, არ დაერტყა
მას სახეში ჩემთვის მუჭი,
და ძლიერი სტრესისაგან,
ამეშალა მგონი კუჭი.



**ქალბატონ დალი ლამბაშიძეს!**

ჩემო დალი, თავს უფლებას ვაძლევ, ასე მოგმართო და გულითადად მოგილოცო დაბადების საიუბილეო თარიღი წარმატებულ პედაგოგს, ღრმად მორწმუნე ქრისტიანს, მგალობელს, ღირსეულ მეუღლეს, დედას, ბებიას, საზოგადოებაში აქტიური მოღვაწეობით გამორჩეულს.

დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავ. ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და მხნეობა დამილოცნია!

**პატივისცემით ნათელა გელეიშვილი**



**ქალბატონ დალი ლამბაშიძეს!**

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველსა და მეგობარს, პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს.

იხარეთ, იდღეგრძელეთ!

**"სამტრედიის მაცნე"**

ფერისცვალების ეკლესიის წინამძღოლი, დეკანოზი ათანასე (რუხაძე) და მრევლი სახელოვან იუბილეს ულოცავენ ქალბატონ **დალი ლამბაშიძეს** უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ ქალბატონო დალი.

# ვულოცავთ!

**დიანა ნიკოლეიშვილს!**

დეკემბერი კიდევ ერთხელ დადგა შენს ცხოვრებაში. ერთ-ერთია იმ მრავალთაგან, ბევრჯერ რომ უნდა მოგილოცოთ. დაბადების დღეს პირველ თოვლთან ერთად გილოცავთ. კერიის სითბო და სიმყუდროვე დაგებედოს. მუდამ ბედნიერებით გაცისკროვნებული გვენახე. საამაყო შვილის დედობა და დედის შვილობა იმედად გაგყოლოდეს აღმაფრენით სავსე ცხოვრების გზაზე.

**"სამტრედიის მაცნე"**

**ბატონ ზურაბ ხაჟალიას!**

ლამაზ იუბილეს გილოცავთ, ნაღდ ქართველს, ჭეშმარიტ სამტრედიელს. იხარეთ და იდღეგრძელეთ სასახელო შვილებთან ერთად.

**მეგობრები**

**ლია ლომთაძეს!**

კეთილო, სანდომიანო, საიმედო ადამიანო, საუკეთესო სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს. გაიხარე შენს საყვარელ ოჯახთან, მოკეთეებთან ერთად. გეცხოვროს დიდხანს შენეული შინაგანი სიმშვიდით და ბედნიერებით აღვსილს. გჯეროდეს ჩვენი გულწრფელი სიყვარულის.

**დიანა და მაკა**

**ქართველი ერის, მშობლიური სამტრედიის და ლანჩხუთელთა სიამაყეს, სახელოვან მამულიშვილს, სამტრედიის საპატიო მოქალაქეს ბატონ ვახტანგ ბალავაძეს!**

გულითადად გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს _ 90 წლისთავს!

სამტრედიელებს გვქონდა ბედნიერება, საზეიმო შეხვედრები მოგვეწყო თქვენთან. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან, საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონთან, არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულთან, როგორც ფრანგები იტყოდნენ "ჭიდაობის პროფესორთან" და თქვენი ხილვით საინტერესო ეპიზოდების თქვენეული გადმოცემის არაჩვეულებრივი უნარით მიგვეღო უდიდესი სიამოვნება.

გაიხარეთ, თქვენი ლამაზი ოჯახით! ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და მხნეობას გისურვებთ!

კვლავაც მრავალ შობა-ახალ წელს ბატონო ვახტანგ!

*პატივისცემით*
*ნათელა გელეიშვილი*
*თამაზ მიქაძე*
*ბორის ფოცხვერაშვილი*



*შეხვედრა სამტრედიაში*
*ვახტანგ ბალავაძე (მარცხნიდან პირველი)*